SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

თავისუფალი
უნივერსიტეტი

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის
შიდა მობილობის წესი

თბილისი,
2021 წელი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს შიდა მობილობის წესს შპს - თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი).
2. შიდა მობილობის პროცესში ჩართული ყველა სკოლა/ფაკულტეტი, ასევე სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ხელმძღვანელობს ამ წესით და მობილობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებით.

მუხლი 2. შიდა მობილობის გამოცხადება

1. უნივერსიტეტში შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ. შიდა მობილობის ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
2. შიდა მობილობა ხორციელდება მხოლოდ ბრძანებით დადგენილ ვადებში. დამატებითი ვადის დაწესება ან გამონაკლისის დაშვება ხორციელდება რექტორის ბრძანებაში სათანადო წესით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე.
3. მობილობის მსურველი კანდიდატის შესახებ უნივერისიტეტის მართვის ორგანოებთან, ადმინისტრაციასა და თანამშრომელთან, მესამე პირისგან რაიმე სახის პრივილეგიის მოთხოვნა, ზეწოლა, მუქარა, სარგებლის შეთავაზება, უპირობოდ იწვევს მობილობის შესაბამისი კანდიდატის დისკვალიფიკაციას.

მუხლი 3. შიდა მობილობაზე უფლებამოსილი პირები

1. შიდა მობილობის უფლება აქვს უნივერსიტეტის იმ სტუდენტს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა ერთ-ერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის, სტუდენტს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.
2. შიდა მობილობის მსურველი პირი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, რომელშიც მიუთითებს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზეც სურს გადასვლა, ასევე საგანმანათლებლო პროგრამას, რომლიდანაც სურს გადასვლა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. შიდა მობილობა დასაშვებია მხოლოდ უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). დაუშვებელია მობილობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
5. მაგისტრატურის საფეხურზე შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.
6. სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ვალდებულია აღრიცხოს მობილობის მსურველთა განცხადებები და შექმნას შესაბამისი რეესტრი.

მუხლი 4. შიდა მობილობის პირობების დადგენა

1. ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორე საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის პირობებს საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით შეიმუშავებს დეკანი და მისი წარდგინებით ამტკიცებს რექტორი. პირობები უნდა იყოს მკაფიო და არაორაზროვანი.
2. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #10/ნ ბრძანების 5[1] მუხლის შესაბამისად, სტუდენტებს რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე 2019 წლის მერე და რომლებსაც სურთ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში შიდა მობილობით სარგებლობა, უნდა აკმაყოფილებდნენ მიმღები პროგრამის დაშვების წინაპირობებს და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ პროგრამისთვის განსაზღვრული ერთ-ერთი შესაბამისი სავალდებულო საგანი (გადალახული უნდა ჰქონდეთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი).
3. დეკანი რექტორს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პირობებთან ერთად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების სასურველ რაოდენობას.
4. შიდა მობილობის წინაპირობები მტკიცდება ყოველი წლის შემოდგომის სემესტრისათვის 30 ივნისამდე, გაზაფხულის სემესტრისთვის 30 ნოემბრამდე.
5. შიდა მობილობის პირობები საჯაროა, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. დეკანი, სკოლის კოორდინატორი და სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლები დაინტერესებულ სტუდენტს უწევენ კონსულტაციას შიდა მობილობის საკითხებთან დაკავშირებით.
7. შიდა მობილობის ვადების კონტროლს ახორციელებს სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

მუხლი 5. შიდა მობილობის კომისია

1. თითოეული სკოლის/ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რექტორი ამტკიცებს შიდა მობილობის კომისიას.
2. კომისია განიხილავს და ადგენს სტუდენტის შესაბამისობას ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ პირობებთან. შეფასებაში მონაწილეობს კომისიის ყველა წევრი.
3. თუ შიდა მობილობის ერთ-ერთი წინაპირობაა გასაუბრება, კომისია გასაუბრებაზე აფასებს სტუდენტის მოტივაციის შესაბამისობას დადგენილ პირობებთან.
4. კომისიის გადაწყვეტილება სხდომის ჩატარებიდან 3 დღის ვადაში ფორმდება ოქმით, რომელშიც აისახება პროგრამული თავსებადობა, აღიარებული საგნები და

კრედიტები. განხილვაში მონაწილეობს კომისიის ყველა წევრი, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.
5. კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება რექტორს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორე საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის/ჩარიცხვის შესახებ.
6. შიდა მობილობის პროცედურის დასრულების შემდეგ, სტუდენტთან ფორმდება ახალი ხელშეკრულება.

მუხლი 6. ინფორმაციის შეტყობინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის

უნივერსიტეტში შიდა მობილობის პროცესის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში, სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ინფორმაციას უგზავნის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.